პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 18 მარტი, 1945 წ. № 55 (7270). ფასი 20 კაპ.

დაუღალავად ვიზრუნოთ მშრომელთა საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის

ომის უაღრესად ძნელ, მეტად დაძაბულ და საფრთხით ალსავსე დღეებშიც კი, როდესაც მტერი ჩვენს მიწა-წყალს თელავდა, როდესაც წითელი არმია ჯერ ისევ მძიმე თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდა, ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა შეუპოვლად და საჭიროდ სთვლიდნენ დიდი მზრუნველობა გამოეჩინათ ზურგის მშრომელთა საჭიროებისათვის. ომის პირველსავე თვეებში პარტიამ, თავდაცვის სახელ- [illegible]

პარტიული აქტივი, საამქროების უფროსები, კომკავშირელები ზრუნავდნენ იმისათვის, რომ მუშათა ბინებში ყოფილიყო სისუფთავე, სითბო, რომ მუშაობის შემდეგ ახალგაზრდობას შესაძლებლობა ჰქონოდა კარგად დაესვენა, კულტურულად გართობილიყო.

ყოველივე ამისათვის საჭირო იყო თუ არა რაიმე დიდი სახსრები?

არა, რაქმე, რა თქმა უნდა, მილიონების დაუხარჯავად გაკეთდა. საჭირო იყო იმის გა- [illegible]

[illegible]

... ქალაქი სამრეცხაოთი, აბანოთი, სასადილოთი, საერთო საცხოვრებლებში გაჩნდნენ აღმზრდელები. საზოგადო მოღვაწეებმა—წარმოების მეთაურთა ცოლებმა — იკისრეს საერთო საცხოვრებლების შეფობა, იზრუნეს წესრიგის დამყარებასა და კეთილმოწყობაში. დირექცია და პარტიული ორგანიზაცია მხოლოდ საერთო საცხოვრებელთა კომენდანტებზე როდი ამყარებდნენ იმედს!

[illegible] საჭიროებისადმი, დიდი ყურადღების მიქცევას —ეხება საქმე საერთო საცხოვრებელს, აბანოს, თუ სასადილოში საჭმლის მომზადებას. ყოველივე ეს ყოველდღიური, ჩვეულებრივი, მაგრამ ჩვენი, პარტიული საქმეებია. და ისინი ბოლშევიკებისათვის ჩვეული სიმტკიცითა და ენერგიით უნდა გავაკეთოთ!

„პრავდის“ 17 მარტის მოწინავე

სომხეთის საკოლმეურნეო სოფლების ელექტროფიკაცია

ამ გაზაფხულზე სომხეთის ათობით საკოლმეურნეო სოფელმა პირველად მიიღო ელექტროგანათება. მთიან ყარაბაღლიარის რაიონში ამ დღეებში ამუშავდა მიკროჰესი, რომელიც ენერგიას აწვდის დაწესებულებებს, საცხოვრებელ სახლებს და რაიონულ რადიოკვანძს. დუზკენდის რაიონის სოფელ ილხიჩიში დაიწყო საკოლმეურნეო ელექტროწისქვილის მშენებლობა. მთავრდება ახალი ელექტროხაზის გაყვანა ეჩმიაძინისა და ჰოქტემბერიანის რაიონების სოფლებისაკენ. (საქინფორმი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

17 მარტის ოპერატიული ცნობა

17 მარტს კენიგსბერგის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც განაგრძობენ ბრძოლებს გერმანელთა აღმოსავლეთ პრუსიის ჯგუფის მოსასპობად, დაიკავეს დასახლებული პუნქტები ბრანდენბურგი, პოპლიტენი, პერშკენი, ლეზნიტენი, პრაუსენი, პანზიცი, ვორნიკამი, ფორდერ-ფროიდენტალი, დოიჩ ტირაუ, ბილშკეფენი. 16 მარტს ამ რაიონში ტყვედ წამოყვანილია 700-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

შტეტინის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც განაგრძობენ ბრძოლებს გერმანელთა პლაცდარმის ლიკვიდაციისათვის ოდერის აღმოსავლეთ ნაპირზე, დაიკავეს დასახლებული პუნქტები ალტჰოფი, ბერგლანდი, ვილჰელმსფელდე, ფრაუენჰოფი, რეტცოვსფელდე, ფერდინანდშტაინი. 15 და 16 მარტის ბრძოლებში ბელორუსიის 1-ლი ფრონტის ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს 2.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვეთა შორის არის გერმანელთა 402-ე ქვეითი დივიზიის მეთაური გენერალ-ლეიტენანტი შლაინიცი.

ბრესლაუს რაიონში ბრძოლები გრძელდებოდა ქალაქში მოწინააღმდეგის გარშემორტყმული ჯარების ჯგუფის მოსასპობად.

ფრონტის სხვა უბნებზე ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა და მზვერავები მოქმედებდნენ.

16 მარტს ყველა ფრონტზე დაზიანებული და მოსპობილია გერმანელთა 113 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 65 თვითმფრინავი.

* * *

ჩვენი ავიაცია თავს დაესხა რკინიგზის კვანძ მორავსკა-ოსტრავას ჩეხოსლოვაკიაში

16 მარტს ღამით ჩვენმა მძიმე ბომბდამშენებმა დაარტყეს რკინიგზის კვანძ მორავსკა-ოსტრავას ჩეხოსლოვაკიაში. დაბომბვის შედეგად რკინიგზის კვანძის ტერიტორიაზე ხანძრები გაჩნდა, რასაც თან ახლდა ძლიერი აფეთქებანი.

* * *

[illegible]

მოსკოვს ჩამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბ-ნი ედ. ბენეში და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ი. შრამეკი

17 მარტს მოსკოვს მფრინავით ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი დოქტორი ედუარდ ბენეში, რომელიც ლონდონიდან ჩეხოსლოვაკიაში მიემგზავრება. პრეზიდენტთან ერთად ჩამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი იან შრამეკი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი იან მასარიკი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩი მოსკოვში ბ-ნი ზდ. ფირლინგერი, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. პრეზიდენტს ბაქოდან ახლდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგე ფ. ფ. მოლოჩკოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-4 ევროპული განყოფილების გამგის თანაშემწე ა. ნ. აბრამოვი.

ცენტრალურ აეროდრომზე ბ-ნ ედ. ბენეშს და მის თანმხლებ პირთ შეხვდნენ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მ. მოლოტოვი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ა. ი. ვიშინსკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. ფ. გორკინი, გენერალ-პოლკოვნიკი ფ. ი. გოლიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მე-4 ევროპული განყოფილების გამგე ვ. ა. ზორინი, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. იასნოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი პ. ა. სინილოვი, თავდაცვის სახალხო კომისარიატის საგარეო ურთიერთობის განყოფილების უფროსი გენერალ-მაიორი ნ. ვ. კუტუზოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე ზ. ი. ფომინი, სლოვაკიის ნაციონალური საბჭოს დელეგაცია დოქტორ ვ. შრობარის მეთაურობით, ჩეხოსლოვაკთა 1-ლი კორპუსის სარდალი გენერალი ლ. სვობოდა, პრაღის პარლამენტის წევრი კ. გოტვალდი, პროფესორი ზდ. ნეედლი, ჩეხოსლოვაკიის საელჩოს და სამხედრო მისიის დიპლომატიური შემადგენლობა და სხვ.

აეროდრომზე იყვნენ აგრეთვე დიდი ბრიტანეთის ელჩი ბ-ნი ა. კ. კერი, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბ-ნი ვ. ჰარიმანი, იუგოსლავიის ელჩი ბ-ნი ს. სიმიჩი, კანადის ელჩი ბ-ნი დ. უილგრესი.

შეხვედრისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. აეროდრომი მორთული იყო ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ალმებით.

პრეზიდენტ ედ. ბენეშის განცხადება

მოსკოვს ჩამოსვლის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დოქტორმა ე. ბენეშმა შემდეგი განცხადება გააკეთა მიკროფონთან:

„ჩვენი გზა სამშობლოსაკენ, რომელიც თავისუფლდება წითელი არმიისა და ყველა ჩვენი მოკავშირის გმირული ღონისძიებით, მოსკოვზე გადის. ეს კიდევ უფრო აძლიერებს ჩვენი საერთო მეგობრობისა და ჩვენი სამოკავშირეო ურთიერთობის მნიშვნელობას.

დარწმუნებული ვარ, რომ მტერი მალე დამარცხებულ იქნება და ევროპა კვლავ განთავისუფლდება“.

საბჭოთა აჭარის 24 წელი

საბჭოთა აჭარას 24 წელი შეუსრულდა.

1921 წლის 18 მარტს აჭარის მშრომელებმა, ქართველი ხალხის დახმარებით, სახელოვანი წითელი არმიის გმირული ბრძოლით სამუდამოდ მოუღეს ბოლო იმპერიალიზმის აგენტების — საზიზღარი მენშევიკების ბატონობას და შეუდგნენ თავისუფალი, ბედნიერი საბჭოთა ცხოვრების მშენებლობას.

საბჭოთა აჭარამ 24 წლის მანძილზე ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით უდიდეს წარმატებებს მიაღწია სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში.

შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი ახალი დარგები. მრეწველობის პროდუქცია 1921 წლიდან 1941 წლამდე 135-ჯერ გაიზარდა. სოციალისტურად გარდაიქმნა და აყვავდა აჭარის სოფლის მეურნეობა. ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს, თამბაქოს და სხვა ძვირფასი კულტურების ფართოდ გავრცელებამ აჭარის კოლმეურნე გლეხობას შეძლებული ცხოვრების გზა გაუხსნა.

უდიდესია საბჭოთა აჭარის მიღწევები კულტურული მშენებლობის სფეროში. 24 წლის წინათ წერა-კითხვის [illegible]

[illegible] მასწავლებლებისათვის ბათუმის რაიონს გადაეცა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. [illegible] აჭარის [illegible] ახალი აღმავლობით [illegible].

ზურგში თავდადებული შრომით აჭარის მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს ფრონტს, გმირ წითელ არმიას. სამშობლოს წინაშე თავისი პატრიოტული ვალის ღირსეულად მოხდით აჭარის მრავალმა მშრომელმა დაიმსახურა მთავრობის მაღალი ჯილდო — მედალი „კავკასიის დაცვისათვის“.

მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მხარდამხარ სამამულო ომის ფრონტზე გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ სახელოვნად იბრძვიან აჭარის საუკეთესო ადამიანები. მრავალი მათგანი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. უკვდავი სახელი მოიხვეჭეს მზიური აჭარის შვილებმა ისრაფილ ჯინჭარაძემ, დავით თავაძემ, ალექსანდრე გორბაჩევსკიმ, რომლებსაც საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ.

რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე დიდმა სტალინმა საფუძველი [illegible]

[illegible] ფრონტზე და ამით ხელს შეუწყობენ მტერზე საბოლოო გამარჯვებას.

გაზეთი „კრასნი ფლოტი“ საბჭოთა კავშირის გმირების შესახებ

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გაზეთი „კრასნი ფლოტი“ მოწინავე სტატიას უძღვნის საბჭოთა კავშირის ახალ გმირებს, რომლებსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ეს წოდება 6 მარტს მიანიჭა.

სტატიაში „კრასნი ფლოტი“ აღნიშნავს სახელოვანი მფრინავის გვარდიის კაპიტან ალექსანდრე გურგენიძის გმირობას. გაზეთი სწერს, რომ გურგენიძეს ზღვის თავზე ყოველგვარ ამინდში დაჰყავს თავის „ილიუშინთა“ ჯგუფი. მას იერიში მიაქვს მტრის ხომალდებზე ნავსადგურებში, ბაზებში, წამოეწევა მათ გაშლილ ზღვაში, სძლევს საზენიტო ქვემეხთა ცეცხლს, გაიმარჯვებს მოწინააღმდეგის ავიაგამანადგურებელთა მეჯყობრში და ყოველთვის აღწევს გამარჯვებას.

სტატიაში აღნიშნულია, რომ გურგენიძის თანამებრძოლ მეგობრებს უფროს ლეიტენანტ ბანიფატოვსა და გვარდიის უფროს ლეიტენანტ კუზნეცოვსაც მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

„კრასნი ფლოტის“ მოწინავე სტატიაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა უდიდეს მეცნიერს ფლოტის მთავარ ქირურგს აკადემიკოსს სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტ ჯანელიძეს.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

1944 წელს უხვი მოსავლის მიღებისა და საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარებისათვის რაიონების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგთა შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ განიხილა 1944 წელს უხვი მოსავლის მიღებისა და საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარებისათვის რაიონების სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმის შესრულების, სახელმწიფო ჩაბარებათა და მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების ვალდებულებათა შესრულების, საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების, ყველა სახის პირუტყვის სულადობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო ჩაბარებათა ვალდებულებების შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში 1944 წლის შედეგთა მიხედვით გამარჯვებულად სცნო შემდეგი რაიონები და დაადგინა:

უხვი მოსავლის მიღებისათვის შეჯიბრებაში:

[illegible]

საკოლმეურნეო მეცხოველეობის განვითარებისათვის შეჯიბრებაში:

[illegible]

საქართველოს რეწმედასელები ომის დღეებში

თ. აბაშმაძე
საქართველოს რეწმედასის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე

ჩვენი რესპუბლიკის რეწმედასის ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა გმირი წითელი არმიის ფონდისათვის თანხების შეგროვების, ფრონტელთათვის საჩუქრების გაგზავნის, დაჭრილ მებრძოლებზე ზრუნვის, სამამულო ომის ინვალიდებისადმი დახმარების საქმეში. 12 მილიონი მანეთის საჩუქრები გაგზავნეს ფრონტზე სამამულო ომის პერიოდში ჩვენმა რეწმედასელებმა. მარტო 1944 წელს 6.905 წყვილი წინდა და ხელთათმანი მოუქსოვეს მებრძოლებს პატრიოტმა ქალებმა. ყოველ დღესასწაულთან დაკავშირებით რეწმედასელები გზავნიან ფრონტებზე ღვინოს, ციტრუსებს, თამბაქოს, სხვადასხვა ხილს.

რეწმედასელთა ზრუნვას მხურვალე მადლობით ეხმაურებიან ფრონტიდან სახელოვანი მებრძოლები. სისტემატურად მოდის მათი წერილები. აი ერთი მრავალთაგანი: „თქვენი საჩუქრები, — სწერენ უკრაინის პირველი ფრონტის ერთ-ერთი ნაწილის მებრძოლები,— მით უფრო ძვირფასია, რომ მათში გამოხატულია რეწმედასელთა ზრუნვა და სიყვარული მებრძოლებისადმი. დიდი მხედრული მადლობა საქართველოს რეწმედასელებს“.

რეწმედასელები სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე უწევენ შეფობას ჰოსპიტლებს, აწყობენ ლექციებს, მოხსენებებს, კონცერტებს. 1944 წელს ჩატარებულია 170 ლექცია და მოხსენება. ჰოსპიტლების ბიბლიოთეკებს გადაეცათ 145.000 ცალი წიგნი. მსახიობთა საუკეთესო ძალებით ჩატარდა 160 კონცერტი. მარტო თბილისში 95-ჯერ მოეწყო რეწმედასის აქტივის შეხვედრა დაჭრილ მებრძოლებთან. 1.012.000 მანეთის სხვადასხვა საჩუქარი გადაეცათ დაჭრილ მებრძოლებს.

რეწმედასელი ქალები მორიგეობენ მძიმედ დაჭრილ მებრძოლებთან. მშობლიური მზრუნველობით თავს დასტრიალებენ მათ, უვლიან, უკითხავენ ლიტერატურას, ატარებენ მათთან საუბრებს, ასუფთავებენ პალატებს, ავადმყოფთა საწოლებს. გამოჯანმრთელებული მებრძოლები, რომლებიც კვლავ ფრონტზე მიდიან, მადლობას უთვლიან საქართველოს რეწმედასელ ქალებს ჰოსპიტალში გაწეული დახმარებისა და დედობრივი მოვლისათვის. „ძვირფასო დაო და დედავ მარიამ ივანეს-ასულო,— სწერს ბელორუსიის მეორე ფრონტის მებრძოლი კორნეიჩუკი მარიამ პრონინას,—მე უკვე წითელი არმიის რიგებში ვარ, ტყვიამფრქვევთან, სავსებით ჯანსაღი. თქვენი მშობლიური ამაგი გამართლებულია. არასოდეს არ დამავიწყდება თქვენი და თქვენი პატარა ბავშვების ზრუნვა ჩემთვის მძიმე წუთებში“. ასეთი წერილები მოსდით ჩვენს დიასახლისებს ფრონტებიდან.

საქართველოს რეწმედასის ორგანიზაცია განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება იმ ბავშვებს, რომლებმაც მშობლები ომში დაკარგეს. რეწმედასის ცენტრალური კომიტეტი ქლუხორის რაიონის ქვემო-ტებერდის საბავშვო სახლსა და კუჯრის ორ საბავშვო სახლს უწევს შეფობას. 1944 წელს მათი საჭიროებისათვის რეწმედასის ცენტრალურმა კომიტეტმა გაიღო 200.000 მანეთი.

დიდი გამოხმაურება ჰპოვა ჩვენს რესპუბლიკაში საქართველოს რეწმედასის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებამ უდედმამო ბავშვების დახმარების ფონდის შესაქმნელად. ხაშურის დეპოს სახელოვანმა მკედელმა ბექან კალმახელიძემ 20 სექტემბერს გამომუშავებული ხელფასი—571 მანეთი შეიტანა უდედმამო ბავშვთა დახმარების ფონდში. ჭიათურის სტალინის სახელობის მაღაროს მუშამ ს. ოთინაშვილმა ამ ფონდში შეიტანა 7 ოქტომბერს გამომუშავებული ხელფასი—350 მანეთი. გურჯაანის რაიონის რეწმედასელებმა 110.000 მანეთი შეაგროვეს, ჭიათურის რეწმედასის საქალაქო ორგანიზაციებმა 104 ათასი მანეთი, მახარაძისამ—105 ათასი, ზესტაფონმა—82 ათასი მანეთი. სულ საქართველოში შეგროვებულია 1.965.810 მანეთი. საქართველოს რეწმედასელებმა ამის გამო ამხანაგ სტალინის მადლობა მიიღეს.

აქ მოყვანილი ფაქტები და ციფრები ჩვენს მიერ გაწეული მუშაობის მხოლოდ ნაწილია. საქართველოს რეწმედასმა თავისი წვლილი შეიტანა მტერზე საბოლოო გამარჯვების საქმეში, რისთვისაც მან მიიღო საკავშირო რეწმედასის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი პრემია. მიღწეული წარმატებებით ჩვენ არ ვკმაყოფილდებით. ჯილდო მოგვიწოდებს გაორკეცებული ენერგიით ვიმუშაოთ.

დღეს, ამოწმებენ რა განვლილ მუშაობას, საქართველოს რეწმედასელები მხურვალე სალამს უთვლიან დიდ სტალინს, ჩვენი ქვეყნის გმირ დამცველებს და სიტყვას იძლევიან კიდევ უფრო გააძლიერონ მუშაობა, მოიპოვონ ახალი წარმატებები.

კოლმეურნეები ახალი ვალდებულებებით უპასუხებენ საპატიო ჯილდოს

მახარაძე, („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). კოლმეურნეები აღაფრთოვანა ცნობამ იმის შესახებ, რომ უხვი მოსავლისათვის 1944 წელს გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მახარაძის რაიონმა კვლავ მოიპოვა გამარჯვება და შეინარჩუნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ამასთან დაკავშირებით მახარაძელებმა ახალი ვალდებულებანი იკისრეს.

გაჩაღდა მუშაობა პლანტაციებსა და ყანებში ნაკელის შესატანად. სოფელ მელექედურის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. ქადეიშვილი) დიდი რაოდენობით გაიქვთ ნაკელი და მინერალური სასუქი მინდვრად. წარმატებით მიმდინარეობს ჩაის ბუჩქების გასხვლა, ფორმის მიცემა.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში კარგად მოაწყეს კადრების მომზადება. სოფელ ლიხაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ბრიგადირებისა და მერგოლეების გადასამზადებლად მოეწყო წრე, სადაც 62 კაცი სწავლობს. წრეში მეცადინეობენ ახლადდაწინაურებული ბრიგადირები ვ. კვაჰანტირაძე, ს. ურუშაძე, მ. გოგოძე, მერგოლეები ფ. სალუქვაძე, ქ. გორდელაძე, ქ. ცეცხლაძე და სხვ.

გაძლიერდა ხვნის ტემპები. მტს-ის მეორე სატრაქტორო ბრიგადამ (ხელმძღვანელი შ. ჩხაიძე) 300 ჰექტარი მოხნა. ხვნის დღიურ დავალებას 200 პროცენტით ასრულებენ ტრაქტორისტები გოგიბერიძე, გოგუაძე და ფურმანი.

ჩაის საგაზაფხულო სამუშაოები გაჩაღდა ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაშიც. ამ საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა კოლექტივმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ჩაქვის საბჭოთა მეურნეობა. ლაითურელებმა იკისრეს 5 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება და სხვ.

ლ. ლოლაძე

ბათუმი, („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის გადაწყვეტილების საფუძველზე კოლმეურნეობებმა გააუმჯობესეს ციტრუსოვანი ნარგავების მოვლა. ამჟამად წარმატებით მიმდინარეობს ციტრუსოვანთა პლანტაციების გადაბარვა და მეორე წამლობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სანერგე მეურნეობის განვითარებას. სანერგე კარგად არის მოვლილი ლიმონ-მანდარინის კახაბრის საბჭოთა მეურნეობაში და ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში. საუკეთესოდაა მოვლილი ციტრუსოვანთა ნარგავები გონიოს ლიმონ-მანდარინის საბჭოთა მეურნეობაში.

მზრუნველობით უვლიან მოწინავე კოლმეურნეობები ტუნგოს ნარგავებს. განსაკუთრებით გამოირჩევა სოფელ თხილნარის გორკის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. ი. დევაძე). აქ ტუნგოს ნაყოფის დამზადების წლიური გეგმა 265 პროცენტით შესრულდა.

1944 წელს უხვი მოსავლისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება ბათუმის რაიონმა და მიეკუთვნა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ამან აღაფრთოვანა რაიონის მშრომელები.

სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა იკისრეს ჩაის ბუჩქების გასხვლა-გაფორმება დაამთავრონ 30 მარტისათვის, ციტრუსების ძირების ირგვლივ შემობარვა—პირველ აპრილამდე, ციტრუსების წამლობა—20 მარტამდე. პლანტაციებში შესატანად დამზადდება 1.230 ტონა სასუქი.

სოფელ ხელვაჩაურის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ სტახანოველმა ამხ. ფადიმე თურმანიძემ იკისრა წელს გამოიმუშაოს 1.200 შრომადღე, მოამზადოს 4 სტახანოველი ჩაის მკრეფავი. მან სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ქობულეთის რაიონის სოფელ ულიანოვკის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი ამხ. ხატიჯე კაკაბაძე.

ვ. ანთაძე

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონული შეკრება

ზუგდიდი („კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან). 15 მარტს შედგა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რაიონული შეკრება, რომელსაც დაესწრნენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციების მდივნები, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, კოლმეურნეობების ბრიგადირები, მერგოლეები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. შეკრებაზე სოფლის მეურნეობაში 1944 წლის შედეგებისა და 1945 წლის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ჩაჩიბაიამ.

— ზუგდიდის რაიონმა, — განაცხადა მომხსენებელმა, — გასულ წელს მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა. გადაჭრით გაუმჯობესდა ჩაის, ტუნგოს და ციტრუსების მოვლადამუშავება. გადაჭარბებით შესრულდა ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის გეგმა. წელს საჭიროა უკეთეს მაჩვენებლებს მივაღწიოთ.

მოხსენების გარშემო კამათში გამოსულმა სოფელ ზედა-ეწერის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა მერგოლემ გ. ჭითანავამ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ აითვისა მან და მისმა რგოლმა ჩაის მოვლისა და კრეფის ცნობილი სტახანოსნის ქიონია საჯაიას მუშაობის მეთოდი. გ. ჭითანავამ იკისრა ვალდებულება პლანტაციის 5-6-ჯერ გათოხნით, კარგად გასხვლით, სასუქის დროზე შეტანით მიმდინარე წელს ჰექტარზე მიიღოს 15 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. ინგირის ბერიას სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ამხ. დ. ნიკოლაიშვილმა, მეურნეობის მთელი კოლექტივის სახელით იკისრა 1945 წელს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბაროს 50.000 კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი.

ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ვ. შამუგიამ შეკრების მონაწილეებს გააცნო, თუ როგორ მიაღწიეს გასულ წელს მარცვლეული კულტურების მაღალ მოსავლიანობას. ამხ. შამუგიამ განაცხადა, რომ 1945 წელს კოლმეურნეობა სიმინდს ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 ცენტნერისა, მოიყვანს საშუალოდ 16,5 ცენტნერს. სოფელ ახალ სოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ორდენოსანმა ბრიგადირმა ამხ. თ. ყუფუნიამ სიტყვა მისცა შეკრების მონაწილეებს, რომ მისი ბრიგადა ჰექტარზე მიიღებს 12 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლს და 15 ცენტნერ სიმინდს.

სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე ამხანაგებმა ა. მიქაძემ (სოფელ ზედა-ეწერის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), ს. თოდუამ (სოფელ რუხის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე), მ. დოჩიამ (მტს-ის დირექტორი) და სხვ., სულ 14-მა ამხანაგმა.

შეკრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 1945 წლის უხვი მოსავლისათვის გაშალოს სოციალისტური შეჯიბრება. ზუგდიდელები სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევენ დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს.

ვ. მესხია

საერთაშორისო მიმოხილვა

წითელი არმია წარმატებით მიიწევს ფაშისტური ბუნაგის სიღრმეში და თავის გზაზე ანადგურებს მძლავრ ნაგებობებს, რომელთა შესახებ ჰიტლერული პროპაგანდა კვეხნით ამბობდა, რომ ისინი მიუვალი არიანო. საბჭოთა ჯარების დარტყმებით დაეცა გერმანიის თავდაცვის უმნიშვნელოვანესი კვანძი ბერლინის მისადგომებზე—ციხე კიუსტრინი (კოსტრინი). ბალტიის ზღვის სანაპიროზე ახალი „ქვაბები“ გაჩნდა, რომლებშიც მომწყვდეულია მრავალ ათეულ ათასობით გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. დასავლეთის ფრონტზე ჩვენი მოკავშირეების ჯარებმა, რომლებიც წარმატებით სძლევენ ყბადაღებულ „ზიგფრიდის ხაზს“, რამდენიმე ადგილას გადალახეს რაინი და მის აღმოსავლეთ ნაპირზე მთელი რიგი ხიდწინა სიმაგრეები შექმნეს. კელნი,—დასავლეთ გერმანიის უდიდესი ქალაქი, მოკავშირეთა ჯარებმა დაიკავეს.

ამა წლის 23 თებერვლის თავის ისტორიულ ბრძანებაში ამხანაგი სტალინი სწერდა: „ახლა გერმანელებზე სრული გამარჯვება უკვე ახლოა“. მაგრამ უმაღლესმა მთავარსარდალმა, გაგვაფრთხილა, რომ არ შეიძლება მოწინააღმდეგის შეუფასებლობა, და სთქვა, რომ განწირული მტერი ებღაუჭება და კვლავაც ჩაებღაუჭება ბრძოლის ულმობელ უკიდურეს და საზიზღარ საშუალებებს, რათა თავი დააღწიოს მკაცრ შურისგებას. ამხანაგმა სტალინმა მოგვიწოდა სიფხიზლის ამაღლებისა და მტრის წინააღმდეგ დარტყმების გაძლიერებისაკენ.

მოვლენები ცხადჰყოფენ, თუ რამდენად სერიოზული და დროულია ეს გაფრთხილება. ჰიტლერელი მხეცი გრძნობს აღსასრულის მოახლოებას და ახლავე ხმარობს ღონისძიებებს, რათა იატაკქვეშეთში ჩაიდეს და ბრძოლა განაგრძოს. იგი იმედოვნებს შეინარჩუნოს თავისი კადრები და მატერიალური საშუალებანი, რათა შემდგომ ვერაგულად ჩაგვცეს ლახვარი ზურგში.

უცხოეთის პრესის ცნობები მოწმობენ, რომ ჰიტლერელთა ბანდის ზედაფენა უკვე დიდი ხანია იმუშავებს არალეგალური მუშაობის გეგმებს, ადგენს რეზერვის გეგმებს. სტალინგრადთან გერმანელთა დამარცხების შემდეგვე გერმანელმა გენერალმა შტიულპნაგელმა მოხსენებით ბარათში წამოაყენა იდეა რევანშისა, რომელიც უნდა განხორციელდეს გერმანიის მრეწველობის სახით კადრებისა და მატერიალური ბაზის შენარჩუნების გზით. ინგლისელი რადიომიმომხილველი ალან ბელი აღნიშნავს, რომ ჰიტლერელები ემზადებიან არალეგალური ბრძოლისათვის ზერხტესგადენის ირგვლივ მდებარე რაიონებში—გერმანიისა და ავსტრიის საზღვარზე. აქ უყრიან თავს იარაღის, საომარი მასალის და სურსათის საწყობებს, მთის გამოქვაბულებში აწყობენ თავშესაფარებს, რომლებმაც უნდა დაიტიონ ადამიანთა მნიშვნელოვანი რიცხვი. ფაშისტური იატაკქვეშეთის მოწყობა დაკისრებული აქვს ობერგრუპენფიურერ ჰიმლერს, რომელმაც, როგორც უცხოეთის პრესა იუწყებოდა, უკვე გამოჰყო სს-ელ ოფიცერთა საჭირო რაოდენობა იმ ტერორისტული ბანდების ხელმძღვანელებად, რომლებიც ახლა ყალიბდება. ამასთან დაკავშირებით დამახასიათებელია გერმანიის რადიოს აღიარება იმის შესახებ, რომ ყალიბდება ბანდები ეგრეთწოდებული „ჰიტლერული ახალგაზრდობისაგან“ მოკავშირეთა ჯარების ზურგში სამოქმედოდ.

ამავე დროს ჰიტლერელები ნეიტრალურ ქვეყნებში აგზავნიან კაპიტალებს და ფასეულობას. შვეიცარიაში, ესპანეთსა და არგენტინაში მონაცვლე პირნი ამჟამად ათავსებენ ჰიტლერელ მესვეურთა სახსრებს. ამას წინათ ინგლისური პრესა აღნიშნავდა, რომ მოკავშირე მთავრობათა გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით—არ დავუშვათ ჰიტლერელების მიერ ნაძარცვი ქონების გადამალვა ნეიტრალურ ქვეყნებში, ესპანეთში მოულოდნელად დაიწყო იმ გერმანულ საწარმოთა „გაყიდვა“, რომლებიც იქ იმყოფება. მფლობელთ „ვალაუვალ მოვალეებად“ აცხადებენ, ხოლო მათი საწარმოები საჯარო ვაჭრობით იყიდება და ჩალის ფასად იგდებენ ხელში ესპანელები. ამრიგად, საწარმოები „იცვლიან პატრონს“. გაზეთი „იორკშირ პოსტი“ იუწყება აგრეთვე, რომ გერმანელები ახლა სხვა ხრიკებსაც მიმართავენ, რათა თავიანთი მრეწველობა შეინარჩუნონ. საქმე ეხება „კაპიტალების დენას იმ სახით, რომ პატენტები გააქვთ გერმანიიდან შვეციაში და, რამდენადმე, შვეიცარიაში“. ასეთი დენა, გაზეთის სიტყვით, ამჟამად მეტად გაძლიერდა. გაზეთი გაფრთხილებას იძლევა, რომ გერმანია „ძალიან მალე შესძლებს მარჯვე შემთხვევა აიღოს, რათა ეს პატენტები გამოიყენოს კონტროლის დასაწესებლად მრეწველობის მთავარი დარგებისა და სტრატეგიული მასალების წარმოებისადმი სხვა ქვეყნებში“.

მოკავშირეთა კომისია, რომელიც იქმნება ყირიმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე რეპარაციების დარგში და რომლის ადგილსამყოფელად დადგენილია მოსკოვი, უეჭველია მხედველობაში მიიღებს გერმანელთა ყოველ ცდას დამალონ თავიანთი კაპიტალები, შეინახონ ისინი, გადამალონ ნეიტრალურ ქვეყნებში.

* * *

ამოცანა ფაშისტთა ნაშთების მოსპობისა ყველგან, სადაც არ უნდა რჩებოდნენ ისინი, დღის წესრიგშია დასმული ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილებებით. მაგრამ ბრძოლა მიმალული მტრის წინააღმდეგ ყველგან როდი სწარმოებს საკმაო აქტივობით. ამის სამწუხარო მაგალითია იტალია. უკანასკნელ ხანს ფაშისტების აქტივობა ამ ქვეყანაში სკანდალური მასშტაბისა გახდა. ეს აქტივობა იქამდე მივიდა, რომ ხელისუფალთა თვალწინ ფაშისტური სამხედრო დაზვერვის მეთაურმა, სამართალში მიცემულმა გენერალმა როატამ შესძლო გაქცეულიყო ჰოსპიტლიდან, სადაც ის „გულმოწყალე“ მოსამართლეებმა ჯანმრთელობის აღსადგენად გაგზავნეს. გენერალი როატა მრავალი ტერორისტული აქტის ერთი სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია. იგია ანტიფაშისტი ძმების როსელების მკვლელი, ალბანელების უბოროტესი მტერი და იუგოსლავიელი ხალხის მდევნელი, რომელმაც წამებით მოჰკლა და მოსპო მრავალ ათასობით პარტიზანი. ნაცვლად იმისა, რომ იგი ხანმოკლე სასამართლო პროცესის შემდეგ ჩამოეხრჩოთ, როატა თავისუფალი იმყოფება. მოსამართლეებსა და პროკურორს მრავალი თვე დასჭირდათ იმისათვის, რომ განეხილათ —რამდენად დამნაშავე იყო ეს ავაზაკი. მაგრამ დამამტკიცებელი საბუთებისათვის შორს წასვლა საჭირო არ იყო. იუგოსლავიის მთავრობამ წინადადებით მიმართა იტალიის მთავრობას—იუგოსლავიაში გაეგზავნა როატა, რათა იგი იქ გაესამართლებინათ, სადაც მისი სისხლიანი საქმეები ყველასთვის ფართოდ არის ცნობილი. ნაცვლად ამისა, გენერალ როატას გაქცევის საშუალება მისცეს. ძებნას დღემდე არავითარი შედეგი არ მოუცია. სასამართლომ კი დაუსწრებლად „მუდმივი პატიმრობა“ მიუსაჯა როატას.

ფაშისტები ახლა მეტად თავხედობენ არიან. ისინი უკვე ადგენენ თავიანთ რაზმებს რომში. მაგალითად, ამას წინათ იქ დააპატიმრეს არალეგალური „ფაშისტურ-რესპუბლიკური პარტიის“ 35 წევრი. მათ უპოვნეს იარაღი, ფაშისტური მუნდირები, გაზეთის ქაღალდის მნიშვნელოვანი მარაგი. ფაშისტები იმდენად გათავხედდნენ, რომ თავიანთი ჟურნალის გამოცემა დაიწყეს. თებერვლის დამდეგს, როგორც იტალიური პრესა აღნიშნავს, რომში ჩავიდა მუსოლინის წარგზავნილი სპეციალური პირი—ეგრეთწოდებული „შავხალათიანთა მილიციის“ გენერალ-ლეიტენანტი ბრანდიმარტე, რომელმაც შეამოწმა ფაშისტური იატაკქვეშეთი. ფაშისტების აქტივობითა და რომის ესოდენ დიდი დამნაშავის გაქცევით აღშფოთებულმა იტალიის დედაქალაქის მშრომელებმა საპროტესტო დემონსტრაცია გამართეს, რომელშიც 50 ათასზე მეტი კაცი მონაწილეობდა. მაგრამ დემონსტრანტებს სროლა აუტეხეს კარაბინერებმა (ჟანდარმერიამ).

ყოველივე ამას არ შეეძლო სასტიკი პროტესტები არ გამოეწვია დემოკრატიული პარტიებისა და ორგანიზაციების მხრივ. ბონომის მთავრობის შემდგომი ბედი მნიშვნელოვანწილად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შესძლებს ეს მთავრობა შეასრულოს ამ პარტიების მოთხოვნები იმის შესახებ, რომ მიღებულ იქნას ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლის საიმედო და ეფექტიანი ღონისძიებანი.

* * *

ამა წლის 8-9 მარტს მოხდა წერილების გაცვლა რუმინეთის პრემიერ-მინისტრ პეტრე გროზასა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინს შორის ტრანსილვანიის საკითხზე. რუმინეთის მთავრობამ სსრ კავშირის მთავრობას მიმართა შუამდგომლობით ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში რუმინეთის ადმინისტრაციის დაწესების შესახებ.

როგორც ცნობილია, წითელმა არმიამ ჩრდილოეთ ტრანსილვანიიდან განდევნა გერმანიისა და უნგრეთის ჯარები. მაგრამ გერმანელ ფაშისტთა აგენტურამ იქ რბევისა და დივერსიის მოწყობა დაიწყო. ეგრეთწოდებული „მანიუს სახელობის მოხალისეთა“ რაზმები, რომლებიც, უმთავრესად, ნაციონალ-ცარანისტულ პარტიაში სახელდახელოდ ჩარიცხულ ფაშისტ რკინისგვარდიელთაგან შესდგებოდნენ, თავს ესხმოდნენ უნგრელ მოსახლეობას. ბანდიტები არ ერიდებოდნენ პირდაპირ პროვოკაციას წითელი არმიის ნაწილების ზურგში. რუმინეთის წინანდელი მთავრობები ღონისძიებებს არ ხმარობდნენ ჩრდილოეთ ტრანსილვანიაში წესრიგის უზრუნველსაყოფად, და საბჭოთა მთავარსარდლობამ მაშინ ვერ მიიჩნია შესაძლებლად რუმინეთის ხელისუფალთათვის გადაეცა ტრანსილვანიის მართვა-გამგეობა.

ამჟამად რუმინეთის ახალმა მთავრობამ პირობა დადო, რომ იგი პასუხისმგებლობას კისრულობს ტრანსილვანიის ტერიტორიაზე ჯეროვანი წესრიგისა და სიმშვიდისათვის, აგრეთვე უზრუნველჰყოფს ყველა იმ ადგილობრივ დაწესებულებათა სწორ მოქმედებას, რომლებიც ფრონტის საჭიროებას ემსახურებიან. საბჭოთა მთავრობამ მხედველობაში მიიღო ეს დაპირება და დააკმაყოფილა რუმინეთის მთავრობის შუამდგომლობა. ამჟამად მთელ რუმინეთში მიტინგები იმართება, სადაც რუმინელი ხალხი გამოსთქვამს თავის სიხარულს და მხურვალე მადლობას საბჭოთა კავშირისა და ამხანაგ სტალინისადმი სულგრძელობისა და ნდობისათვის. „ჩვენ გვსურს, — განაცხადა რუმინეთის პრემიერ-მინისტრმა პეტრე გროზამ თავის სიტყვაში,—რომ თავისუფალი დემოკრატიული რუმინეთი გახდეს ყველა მოქალაქის, ყველა იქ მცხოვრები ხალხის სამშობლო“. ეჭვი არ არის, რომ რუმინეთის ხალხისათვის ტრანსილვანიის გადაცემა ხელს შეუწყობს სსრ კავშირსა და რუმინეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცების საქმეს.

* * *

ძველი ანდაზა ამბობს: თუ იუპიტერს ვისიმე დასჯა უნდა, გონებას წაართმევსო. ეს ანდაზა ზედგამოჭრილია ესპანელ ფაშისტებზე. ჰიტლერის პირდაპირი ხელშემწყობნი მთელ მის ავანტიურაში, რომლებიც ოდესღაც იკვეხნიდნენ, რომ ისინი „ევროპას იხსნიდნენ“ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე „ცისფერ დივიზიად“ წოდებული ბანდის გაგზავნით, ამჟამად სან-ფრანცისკოს კონფერენციაში მონაწილეობის პრეტენზიას აცხადებენ. მათ იმედი აქვთ, რომ ნება მიეცემათ გადასწყვიტონ მსოფლიოს ომისშემდგომი მოწყობის ბედი. ესპანელი ფაშისტების თავხედობა იქამდე მიდის, რომ ისინი ლაპარაკობენ „ისტორიულ დამსახურებაზე“, რაც ვითომ ფაშისტურ ესპანეთს იმის უფლებას აძლევს, რომ „მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო წესრიგის ბაზის უზრუნველყოფაში“. სწორედ ასეთი მოთხოვნით გამოვიდა ამას წინათ ფაშისტური გაზეთი „ელ-ესპანიოლი“.

ესპანელ ფაშისტთა მანევრები ვერავის ვერ შეაცდენს.

ლ. იაკოვლევი

ციმბირის უძველესი საარტილერიო სასწავლებლის 25 წლისთავი

ტომსკის საზოგადოებრიობა აღნიშნავს ციმბირის უძველესი საარტილერიო სკოლის — ტომსკის 1-ლი საარტილერიო სასწავლებლის 25 წლის იუბილეს. ამ სასწავლებელში აღიზარდა საბჭოთა ბრწყინვალე არტილერისტების მთელი პლეადა.

თავდაცვის სახალხო კომისარმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხანაგმა სტალინმა მიულოცა სასწავლებლის ოფიცერთა, სერჟანტთა, კურსანტთა და ნებით დაქირავებულთა შემადგენლობას 25 წლისთავი და მთავრობის მაღალი ჯილდოები და ახალ-ახალი წარმატება უსურვა წითელი არმიისათვის მაღალკვალიფიციურ ოფიცერთა მომზადების საქმეში.

იუბილესთან დაკავშირებით ფრონტიდან სასწავლებლის ყოფილ მოსწავლეთაგან დიდძალი მისალოცი წერილი მოვიდა. (საკდესი).

ბელორუსიის მე-2 ფრონტი. მოწინააღმდეგის გემები, რომლებიც ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს დანციგის ყურის ერთ-ერთ ნავსადგურში.
ფოტო პ. ბერნშტეინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

საომარი მოქმედება დასავლეთ ევროპაში

ლონდონი, 17 მარტი. (საკდესი). მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ ამჟამად მოკავშირეთა ხიდწინა სიმაგრე რაინზე აღწევს დაახლოებით 21 კილომეტრს ფრონტით და 11,2 კილომეტრს სიღრმით.

მოკავშირეთა ხიდწინა სიმაგრის ცენტრში გერმანელები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ. ჩრდილოეთ ნაწილში მოკავშირეთა ჯარები ბრძოლებს უწევიან კენიგსვინტერში, ხოლო სამხრეთ ნაწილში მდინარე ვიდის დასავლეთ ნაპირს მიაღწიეს.

კობლენცის სამხრეთ-დასავლეთით მოკავშირეთა ჯარებმა გადალახეს მდინარე მოზელი; მოკავშირეთა სხვა ნაწილები მიადგნენ რაინის დასავლეთით 3,2 კილომეტრზე მდებარე პუნქტს.

მოკავშირეთა ძალები განუწყვეტლივ მიიწევენ წინ ჩრდილოეთის მიმართულებით საარბრუკენის რაიონსა და რაინს შუა.

მიღწეულია აგრეთვე ახალი წარმატებანი ჰარდტის მთების რაიონში და ჩრდილოეთ ელზასის ვაკეში.

ლონდონი, 17 მარტი. (საკდესი). საომარი ოპერაციების ხმელთაშუა ზღვის ასპარეზზე მოქმედი მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების შტაბის ცნობაში ნათქვამია, რომ იტალიაში მე-5 არმიის ნაწილებმა დაარტყეს აპენინებში გერმანელთა გამაგრებული პუნქტის—ვერგატოს ჩრდილო-აღმოსავლეთით და ზედ მიადგნენ ქალაქ სალვაროს (15 მილზე ბოლონიის სამხრეთ-დასავლეთით).

მოკავშირეთა ჯარები კობლენცში შევიდნენ

ლონდონი, 17 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, მე-3 არმიის ნაწილები 17 მარტს შევიდნენ კობლენცში.

მოკავშირეთა ავიაციის მოქმედება

ლონდონი, 16 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 16 მარტს საღამოს მოკავშირეთა ბომბდამშენების დიდი შენაერთები თავს დაესხნენ გერმანიას. დაბომბვის მთავარი ობიექტები იყო დიდმნიშვნელოვანი სამრეწველო და სარკინიგზო ცენტრები ნიურნბერგი და ვიურცბურგი. დაიბომბა აგრეთვე ბერლინი.

რეიტერის სააგენტო მიხაილოვიჩის ადგილსამყოფელის შესახებ

ლონდონი, 17 მარტი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ, იუგოსლავიის საინფორმაციო სააგენტოს მიერ მიღებული ცნობების თანახმად, ჩეტნიკების მეთაური მიხაილოვიჩი იმყოფება სარაევოს ახლოს, სადაც იგი გერმანელებთან და უსტაშებთან თანამშრომლობს იუგოსლავიის არმიის წინააღმდეგ მათს ბრძოლაში.

ეამის წარმომადგენელთა მიმართვა მაკმილანისადმი

ლონდონი, 16 მარტი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 14 მარტს ეამის (ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ფრონტის) წარმომადგენლებმა ინგლისის მინისტრ—რეზიდენტს ახლო აღმოსავლეთში ჰაროლდ მაკმილანს მიმართეს თხოვნით სასწრაფოდ შექმნას „საჭირო სამოკავშირეთაშორისო კომისია საბერძნეთის საკითხის განსახილველად“.

ეამის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ საბერძნეთის მთავრობა არ არის წარმომადგენლობითი მთავრობა. „ჩვენ გვწამს,—აცხადებენ ეამის წარმომადგენლები,—რომ ჩვენი დიდი მოკავშირეები გულგრილობას არ გამოიჩენენ მოვლენათა განვითარებისადმი, რაც ამჟამად საბერძნეთში ხდება და რაც იწვევს საშინაო და საგარეო გართულებათა საფრთხეს“.

ბელგიის მთავრობას განსაკუთრებული რწმუნება მიენიჭა

ლონდონი, 17 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ბრიუსელელი კორესპონდენტი იუწყება, გუშინ ბელგიის სენატმა მოიწონა მთავრობისათვის სპეციალური რწმუნების მინიჭების კანონპროექტი, რომელიც უკვე მიიღო დეპუტატთა პალატამ. კანონპროექტი ბელგიის მთავრობას ანიჭებს ფართო რწმუნებას გამოსცეს საგანგებო კანონები სპეკულაციის წინააღმდეგ და სურსათის საკითხების, ფინანსების, ტრანსპორტისა და იუსტიციის საკითხებზე.

ლ ე ქ ც ი ა

19 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) მეცნიერ მუშაკებისა და საშუალო სკოლის მასწავლებლებისათვის შედგება აკადემიკოს ს. ჯანაშიას ლექცია ქართულ ენაზე.

თემა: **„ქართველი ერის წარმოშობა ამხანაგ სტალინის მოძღვრების სინათლეზე ნაციის შესახებ“.**

ბილეთების შეძენა შეიძლება საქალაქო პარტკაბინეტის ბიბლიოთეკაში დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

კინოებში

18 მარტს: **რუსთაველის სახელობის**—„ოთხთა გული“. **ოქტომბერი** — „ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს“. **დამკვრელი**—„ჰექა-ჭუხილი“. **კომკავშირელი** — „მასკარადი“. **სპარტაკი**—„ჯორჯი დინკი ჯაზიდან“. **ლუქსემბურგის სახელობის**—„იუდუშკა გოლოვლიოვი“. **26 კომისრის სახელობის** — „ივანე მრისხანე“.

ხელოვნების ქრონიკა

ორშაბათს, 19 მარტს, მარჯანიშვილის სახელობის თეატრი აწყობს საღამო-კონცერტს. მონაწილეობენ: ც. წუწუნავა, ბ. გამრეკელი, ვ. გოძიაშვილი, ქ. კვანტალიანი, ა. გომელაური, ს. ზაქარიაძე, პ. კობახიძე, ა. რამიშვილი, გ. ქორიძე. როიალის პარტიას ასრულებენ კომპოზიტორები ა. კერესელიძე და ვ. შავერზაშვილი.

თეატრებში

18 მარტს: **სახელმწიფო ოპერა** — „რიგოლეტო“. **რუსთაველის სახელობის** — „კიკვიძე“. **მარჯანიშვილის სახელობის** — „ბაგრატიონი“. **გრიბოედოვის სახელობის** — „კრეჩინსკის ქორწინება“. **სომხური** — „მოკლულ მტრედი“. **ახუნდოვის სახელობის** — „კაჩალ ბაჯი“. **მუსიკალური კომედიის**—„სილვა“. **სანკულტურის** — „სევდიანი რომანი“. **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „სკაპენის თაღლითობანი“. **რუსული** — „ჩემოდანი კატა“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს მწერალ ისამანს მისი ცოლის **ოლღა ნამორაძე-კონწურაშვილის** გარდაცვალების გამო.

ბიძა სამსონი, მამიდა ქალია, ბიძაშვილები ვარდენი, ილიკო, ავრაფინა, ოთინა, ნუგზარი და ზორბეგი გოგიჩაიშვილები იუწყებიან **ფაცია მანასეს-ასულ ჟორჟენაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე სანდრო აბულაძე, შვილები შალვა, ლოლა ერისთავისა, გოგუცა მგალობლიშვილისა ოჯახებით, რძალი ელენე შვილებით, ე. გულისაშვილი იუწყებიან **ნადია წერეთელი - აბულაძის** გარდაცვალებას.

კატო კიკილაშვილი შვილებით: ნინო, სოსო, ქეთო. სიძით, რძლით იუწყება **მართა კიკილაშვილი - დემეტრაშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე ბუქლუ, შვილები ანეტა, ცაცა, ნუცა, რძლები ნინო, შუშუ, სიძეები გალაქტიონ გერსამია, ვანო ბეგიაშვილი იუწყებიან **თადეოზ ქვარცხავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 20/III.

დედა თამარი, ბებია ეკატერინე იუწყებიან, რომ 18/III, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დაწინწეულია **ნუცუ ონისიმეს-ასულ ჯვარიძის** პანაშვიდი.

მაკრინე, ოლია, თამარ, მამიდაშვილები კოლია, მიშა, იონა, ვარლამ, ვერა ხარაძეები ოჯახებით იუწყებიან **ქიონია ხარაძის** გარდაცვალებას.

და კატო ცაგურია შვილებით ნოდარით და რეზოთი იუწყება **ნინო კაკაბაძე-მახარაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21/III, 7 ს. გამოსვენება 22/III, 5 ს. ლენინის II შესახვევი, 1-ა.

შვილი ელიკო, და ბაბალე, ძმა გიორგი, რძალი მარო მირიანაშვილები იუწყებიან, რომ 18/III, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **დავით ნიკოლოზის-ძე მირიანაშვილის** პანაშვიდი.

მატრონე, ნინო ცინცაძეები, ქსენია, ისაკ ვასაძეები, შუტუ, სანდრო სულაქველიძეები იუწყებიან სიძის **დავით ხალამპრეს-ძე მგელაძის** გარდაცვალებას.

მშობლები ვარა, ანდრო, ძმა ვიქტორ, და ნელი დაბახიშვილები, მეუღლე კოკი მელქიშვილი იუწყებიან **თამარ დაბახიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 18/III 3 ს. ანაგის, 18.

მეუღლე კლიმენტი თევზაძე, დები ქსენია, თამარ, ძმები ვახტანგ, პანტელეიმონ, რძლები მარიამ, თამარ, ძმისწული ციცო, მაზლი ვარლამ იუწყებიან **ქეთევან ვასილის-ასულ ურუშაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. ვერცხლის, 33.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილის—3-68-08, პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და პარტიული პროპაგანდის—3-81-84, კომკავშირული ცხოვრებისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო—3-80-83, სამხედრო, ლიტერატურის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობა—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 91,800 ՟Ը 00066